

სამართლებრივი

ბელის მოწერა და დასაბუთი განცხადებანი მიიღება „სამართლებრივი“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დღის 9-3-მდე, საღამოს 5-7-მდე.

ბელმოწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი შტრიქები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხოვნანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამელო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელირება 5 მანეთი.

„სამართლებრივი“ კანტორისაგან

გაზეთი „სამართლებრივი“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევაზე ღირს 3 მ.—50 კ. მოვარგონებთ იმ ხელის მოწერით, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: გ. თფილსი, რედაქცია „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მოწერით დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ ვაიხსოვ

ახალი ავთიკაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

აქიქი

გ. დ. წინამძღოროვნეილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიან სპეციალურად. საღამოს 5-7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

თია ფსიხიკა საერთოდ ხალხისა. ამას ხსნიან უკულტურობით, მაგრამ ამას, ჩემის ფიქრით, ღრმა ნიადაგი აქვს სასამართლოს მიმართ უნდობლობის გამო-საცხადებლად.

ჯერ უდიდესი და უპირველესი ნაკლი ჩვენში სამართლის წარმოებისა ის გახლავთ, რომ სამართლის წარმოება უცხო ენაზეა. ამნაირად ის ხალხი, ის 90 პროცენტი საქმის მქონებელისა, სასამართლოში სრულებით ყოფილი და მუნჯია თავის საქმის წარმოების დროს. მთელი მისი ავ-კარგი და სვე-ბედი დამოკიდებულია თარჯიმანზე და სხვა საქმის მწარმოებლებზე და არა იმის ახსნა-განმარტებაზე. ის გამოყრუებული, შიშით ატანილი, დასიებული თვალებით იცქირება და არა ესმის რა თუ რა ხდება იმის საქმის გარშემო. ეს ისეთი საშინელებაა, რომლის განცდა და წარმოდგენა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც პირადად გამოუყვლია ასეთი მდგომარეობა.

სამართალი ჩვენში

სამართალი ერთი უპირველესი ფუნქციაა სახელმწიფოს არსებობაში. იგი ამა თუ იმ ხალხის ზნეობრივ-კულტურულ მდგომარეობის მაჩვენებელია. ის რეგულირებდა ხალხის ურთიერთ შორის დამოკიდებულებაში. მაშასადამე, იგი, როგორც ასეთი, ყოველთვის ცხოვრებასთან უნდა სდევდეს და პროგრესის დაგვარად იცვლებოდეს. თუ სამართალი სათანადო არ არის, ის პროგრესის შემსუთველია, ცხოვრების დაძვობი და ამრევ-დამრევი. ამიტომაც მთელი სახელმწიფოს ავ-კარგი სამართალზეა დამოკიდებული. ბერაგია ის ერი ან ის ხალხი, რომელსაც შეუძლებია სამართალი აქვს. ასეთი სამართალი მძიმე ლოდევით აწევს ცხოვრებას და გაქანების ნებას არ აძლევს.

ამ მხრივ ისე შეზღუდული გახლავთ ჩვენი ენა, რომ ადგილობრივ მოსამართლეს, თუ კი რომ ის თვითვე ადგილობრივი და ადგილობრივი ენები მშვენივრად ესმის, მაინც თარჯიმანის საშუალებით აწარმოებს საქმეს. ავიღოთ მაგ. ქართული მოსამართლე. რუსულის უცოდინარო მომჩივრები მისჩერებინართ და ვერ აგინსნიათ, რომ მოსამართლის წინ ქართულიდან რუსულის გადაცემაში იტანჯებოდან მომჩივრები (ხშირად არც კი იციან ესმის ქართული მსაჯულს თუ არა), თარჯიმანი და მოსამართლეც ისმენს რუსულად მას, რაც უკვე პირველ თქმისთანავე გაიგო. მეტად ხშირად ბევრი ხალხია ამის მოწამე, მაგრამ არის მხოლოდ კედლებიც, ასეთს საცოდობას თავისი მიზეზი აქვს და ხშირად მეტად სერიოზულად, რადგანაც მოსამართლეს, თუნდაც ადგილობრივს სამშობლო ენაზე საქმის წარმოება არ შეუძლია...

როცა ჩვენს მდგომარეობას ამ მხრივ, —სახელმწიფო არსებული სამართლის წარმოების მხრივ,—შეხედავს და ვამცნობა ადამიანი, მეტად უნუგეშო მდგომარეობას დაინახავს.

სამართლებრივი რუსული სამართლის წარმოებას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს და იმის შედეგებზე და აწინდელ მდგომარეობაზე გარკვეული შეხედულება არის დამყარებული, როგორც საერთოდ ხალხში ისე მეცოდნე წრეებშიაც.

თუ როგორ უცქერის ხალხი ჩვენში სამართლის წარმოებას იმ გამოცდილების შემდეგ, რაც მან ამ სამართლის ხელში გამოიარა, ახსიათებს ის შეხედულება, რომელიც დღეს არსებობს ჩვენში. ეს სამართალი ვერ სწვდა ხალხის გულის სიღრმეს და ვერ შეითვისა, ვერ მიიჩნია თავისად და დღემდის მას „რუსის სამართალს“ ეძახის.

ამიტომაცაა, რომ იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს სამართლოში საქმის სინამდვილის გამოკვეთს ხშირად და ხშირად უფრო ხელს უშლის და სიმართლეს ჰფარავს. (ეს უკვე აღიარებული დებულებაა). რა ვასაკვირველია, როცა ხალხი ასე იქცევა, როცა ხალხი, ნამეტნავად დასაყვით სამართლებრივი ამბობს, ჩვეულებრივ ლაპარაკის დროს გაწვილებას, რომ ის მართალს არ ამბობს: „ესტყუი? რად ესტყუი, სასამართლოში ხომ არა ვარ“. ე. ი. იმისი შეხედულებით ჩვეულებრივ ლაპარაკში არ მოიტყუებს, მაგრამ თუ სასამართლოში მოხვდა, იქ ტყუილი არც სამარცხენოდ და არც დასავლობით. ესე-

ამის გამო ბევრი დაწერილია, ბევრიც იწერება და ეს საკითხი გადადებული ქე-შმართებადაა აღიარებული, სამართლის მეცნიერებაში, მაგრამ ცხოვრებაში გატარებას ათასი მიზეზები უწინდება...

შაბათს, 19 სექტემბერს, სოფ. ახალქალას (ლეჩხუმის მაზრა) თავად გელოვანთა საგვარეულო ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ლეჩხუმის მაზრის თავად-ახუნათა წინამძღოლის

თავად იასონ დავითის-ძის გელოვანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნ. ივლითი მერაბის ასული, ძე თავ. შოთა გელოვანი მეუღლით კნ. ელენე ფარსადანის ასულით, ასული ბაბო ნიჟარაძისა ქმარ-შვილებით, დისწული კნ. პაპა ახვლედიანისა ქმარ-შვილებით და შვილისწული გუგულა და ზინა კვიციანიას ასულით.

„ხარფუნის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

პარასკევს 18 სექტემბერს. სინამდობრაში, ბაღში დაუკრავს საზანადარი შაბათს 19 სექტემბერს. ძაბრთული წარმოდგენა „პ მ ვ ო“ გ. სუნდუკიანის ცნობილი პიესა. ბაღში დაუკრავს ორკესტრი. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

კვირას 20 სექტემბერს სინამდობრაში. ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ვკისრულობა

გადავაამეთოთ, გაფრინდეთ და ახლათ შვამდებოთ საჭაღებო და საგაშო

საპეტილურად ვფინდავთ საგაშო „კოშტალოკას“ და „კილინდრას“.

აგრითვე ვფინდავთ კლიუზს, ხავერდს, და გაყენათ გინგლს. მახუხუხებთ და ვფინდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქულების სახელოსნო დ. გ. გვაზარაიას ოლოვინის პროსპ. № 39.

12 ენკენისთვიდან იხსნება

სამსოვის ქალთა სკოლა

სადაც შეასწავლიან ყოველგვარ ფართოეულის (მატრიის) ქსოვას. კურსი ლიუ-რია. თხოვნათა მიღება შეიძლება 20 ენკენისთვიდან სკოლის კანცელარიაში, იქვე მიიღება დაკვეთა ყოველნაირ მატერიისა.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 29. (8-6)

გაღწერას სწავრა მანქანის საშვალეებით და საფარ განაგანაზე მუშაობის სწავლებას

ხელმძღვანელ ფასებში ჰკისრულობს **ი. თ. გვათუას პანსტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17-05

დოქტორი ვედიცინისა მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

ემფრასი ექიმი ტფ. კადეტა კორპუსისა. ზავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5-6 საათ, ოლას ქუჩა, № 3, სახლი მეღვი-ზარაიანისა.

კვილის ექიმისა

გაგუღანიშვილი (სოფელისა)

ანაახლა ავადმყოფების მიღება დღის 9-3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლას ქუჩა, № 22.

გ. გ. რ. შ. ში


ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

საქართველო

წლის დამლევაზე ღირს 3 მ. 50 კ.: ერთი თვით—90 კ. ფოსტის ადრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.



გ. - გ. - ზიანი.

მის აზრები

სურნალ-გაჯათიძე

რუმინის გაზეთებს ბულგარეთში აღარ უშვებენ.

მეორე და მესამე ქვეითი და მეცხრე კავალერიის პოლკი სოფიიდან უცნობ მიმართულებით გაემგზავრა.

სმებია, საბერძნეთის პრემიერი მინისტრი გენივილის სამსახურს თავს ანიჭებს.

„რუმის“ გადმოცემით ახლო მომავალში გენერალ კურპატკინი მოქმედ გარდაცემულს გავიგებთ. მას კორპუსის სარდლობა ექნება მინდობილი.

გერმანიის ჯარები სერბიის საზღვარზე გროვდება.

ამ ახლო მომავალში დიპლომატები მოვილიან ავსტრია-გერმანია-ბულგარეთის ულტიმატუმს ოსმალეთისკენ სამხედრო სურსათის გატარების თაობაზე.

ბეჭდა საეკლესიო წიგნები, დაბადების ერთნაირი და შოთას დიდებული ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ რაც შეეხება „ქრებულს“ შედგენის წესრიგს, აი რას ამბობს თვით კანონმდებელი თავის „ქრებულის“ წინასიტყვაობაში:

„ნებისა ღმრთისა და წყალობითა დილისა ხელმწიფისათა, პირველითავე წყით საქართველოს მეფედ განკურთხულისა... და განმგებელმან ბატონის-შვილმან, პატრონმან ვახტანგ, წინათქმულთა ამისთაჲს ვიწაღეთ სასამართლოსა წიგნისა დაწერა, პირველ დაბადებისა მოსეს მიერ ქრისტიან სამართალს და კედე ჰერძენათა და სომეხთა წაგნისაჲს განმითარამული, ყვერთვე კათალიკოსისა და მეფის ვიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შეეკრებოდ და ესე ყოველი შემოეწო წერებულმან გამოცნოსთ, ხოლო ესეცა მსცინო, იგულებ და იგულისმოდინეთ და რომელიც გენებისს და უჯობებს გინდესთ, მით მსჯიდეთ და მართალსა სამართალს იქმოდეთ.“

ხოლო თავის კანონების შესახებ, რომლებიც ცნობილია ვახტანგის კანონებში სახელით, აი რასა სწერს ბატონი-შვილი:

„აწ ვიწყეთ განაწინისა ამის ჩვენ მიერ აღწერილისაჲს, რომელნი იხილავთ და ამინთ ნურავინ მკრებთ, რამეთუ თათ თავითა თჯითა რასამე ვყოფდეთ, არამედ თანა-ყოლითა და მოწმიდითა მტდელთ მთავრისა და დიდისა დედა-ქალაქისა მცხეთისა და კავრთისა ზედან საფულოსსა სწეტისა ღმრთის აღმართულისა და მორთ აღმოცენებულს საქეთ მკრობილისა და ხარისსსა ზედან მტყეცელ მღვანელისა ძმისა ჩვენისა ბატონისა შვილისა კათალიკოსის დიპნეტისა, ყვერთვე თანა მღვამითა არავის ერისთვის შვილისა, მთავარ-ეპისკოპოსისა გრიგოლისა და სხვათა მტროპოლიტ ეპისკოპოს-წინამძღვართ და საღთოთავანათათა და მოწმიდითა და თანაზარსკითა მწობის ბატონის ერეკლეთა და სახლისა ჩვენისა ბუცისა პაპათა, არავის ერისთვის ვიორგითა, ქსნის ერისთვის დავითისითა, ორბელისისი სარდლისი ლუარსაბითა, ამირახორის ავთანდილით, მღვიანბების ერასტითა, სხვათა ყოველ-

პოლიციის გაზეთების ცნობით, ვიღვალე მხურვალე მოქმედებით მიმართა დასავლეთის ფრონტზე მებრძოლ ძალებს და მოუხმო მოქმედების გასაკრებულ-ბლადა.

ბულგარეთის მეფე საბერძნეთის მეფეს.

ბულგარეთის მეფემ დევშით მიმართა საბერძნეთის მეფეს, დეპეშაში ნათქვამია, ბულგარეთის მობილიზაციას არავითარი აგრესიული განზრახვა არ უდევს გულში საბერძნეთის ტერიტორიის წინააღმდეგ და რომ ბულგარეთი მონაღმბულია კეთილი განწყობილება განამტკიცოს ორსავე განხორციელებულ შორს ამ დეპეშით ბულგარეთის მეფემ პირველი ნაბიჯი გადადგა იმ განწყობილების აღსადგენად, რომელიც მეორე ბალკანეთის ომის დაწყებიდან, დაიწყო მეფე ვერდინანდსა და მეფე კონსტანტინეს შორის.

გენალიფი მიემზრა მთავრობას.

„უოლეს“ სააგენტო იწყება, გენალიფი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ოპოზიციაში იყო, რადიოსიგნით განმარტულ მოლაპარაკების შემდეგ, მთავრობას მიეზრა.

თა დაბრახს-ერთა ჩვენთათა და კითხვითა ქუთათა-ყოფელთა და მიხუცებულთა კაცთათა, განგაინეთ და დაესწერეთ რომელსა მიგწაღდეთ და ან განაწინის ჩვენნი სამართალთა მიხედვით, ამით ეგო ვიქმენით წიგნისა ამის მიხედვით, რათა აღარავინ განდრკის სასწორსა სამართლისასა ქრითით, ვინა მოაქმონით ან სხვათაჲს რომე მიდგომითა, არამედ პირველი განჩინების იხილონ და ახალი ესეცა და რომელიც წიგნის მოსამართლეს მით იქმოდეს სამართალს. მე ეს წიგნი ასრე არ დამწერო, არც ვიწმუტ, რომე არც აკლებსა; ბევრი ასეთი საჩივრები აბის დამოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწუდების კაცის გონება, ვინც მიხედეს რასმე და მოვიგონოს ჩაუთოს, და ჩასწეროს კარგსა და მართებულსა იქა.“

განზრახ ამოგწერეთ ეს ვრძელი ტორადა, რათა აოავის ჰქონთა უეცლება ლითონ სიტყვად განმარტებინა ჩვენნი მტკიცება, რომ სხენებული სჯულდების ძეგლი არ არის აღმოსავლეთის დესპოტის პირველი ნებისყოფისა ნაწარმოები, როგორითაც შეიძლება წარმოდგენილი ჰყავდეთ მეფე ვახტანგის პიროვნება ვინც კი არც მისთან არის ვაცნობილი და არც მის მიღწევიანასთან, არამედ პირქით, რომ ეს ძეგლი მოწონებულია მთელი ქრეულის მიერ, რომელიც საკანონმდებლო მოღვაწეობისთვის შექმნილია ყოველდ შემთავრებულ მეფეს, რათა თვისი სამართალ დაცინუქტე განჯიობის სხვა ამოქმედდა ამ მართმსაჯულობის აღმასრულებელ ორგანოებს. ჩვენ არ გამოუყვებით იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო იმ დროს შიენიქებინათ მსაჯულებისათვის უფლება განჯიობის სხვა და სხვა კანონი, მტკიც შევითხათ ახალ-ახალი სასარგებლო კანონებიც ვიტყვით მხოლოდ, მსაჯულთა ამგვარი კომპეტენცია ილად არის მიჩნეული, საითყნაც მიიწვის დღევანდელი მართლმსაჯულება.

შემდეგი იქნება.

პ. კიზირია.

უძრელობა. აგრედვე დახელოვნებულ და გამოცდილ პირებთან საწყალი ვაუტუგება ირი ხალხი თითქმის ყოველთვის მოტყუებული რჩება და ადგილი ხელიდან ეკარგება. ან არ გამოცხადდება, გამოჯენის დროს, რადგან ხშირად ვერც კი შეიტყობს, ან დაეას, როგორც რიგია ვერ განაცხადებს, ან საბუთს თავის დროზე და ალაგზე ვერ წარადგენს, ან თავის დავას ვერ დასაბუთებს და ათის სხვა მიზეზები ადვილს ხელიდან გამოსტაცებენ ხოლმე.

ბევრი რამ სხვა ნაკლი აქვს ჩვენში სამართლის წარმოებას, როგორც კერძოდ ჩვენში, ისე, რასაკვირველია, საერთო ხასიათისა, მაგალითად გამოძიების წარმოებაში, სდევ თავის დაცვის უფლებას მოკლებულია ბრალდებულნი; განმარტების ხანგრძლივობას, ხშირად ბრალდებულნი გამოძიების ქვეშ მთელი წლებით ვხს კიდეში და შესაძლებელია ბოლოს ისე გამოუშვან, სასამართლოსაც არ ვადასკენ. ჩვენში ბრალდებულნი საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ უნდა იყოს, როგორც ვეძივი მეორეს მხრით, მაგრამ სულ სხვაა ნამდვილი ბრალდებელი და სხვაა დამცველი; მათს უფლების ერთიანობაზე შედარება არ შეიძლება.

სამოქალაქო საქმეების წარმოებაშიც ხომ საერთო ნაკლი მეტად ბევრია, მაგრამ ყველაზე უსაშიფრესი და უშედეგო საქმის დაუმთავრებლობაა. სულ უბრალო საქმე, რომელიც მომრიგებელ მოსამართლესთან იწყება, თუნდა ერთს შენოს რომ ახდებებოდეს, თუ მომრიგებელი არ მოიპოვებს თავისით, არამც და არამც ერთ წელიწადზე ადრე საქმის დასაბუთება არ შეიძლება. ეს ვიდა უდიდესი მინიშნება საქმის მტორე ხნში წარმოებისა, თორემ ჩვეულებრივი — 3-6 წელიწადია. და ხშირად მომრიგებელ მოსამართლესთან დაწყობილი საქმეები ათი და 15 წელიწადიც კი გრძელდება. საერთო სამოქალაქო საქმეები ხომ ხშირად 10 წელიწადში ვერ თავდება, აბის საქმეები 25-40 წლის აღწევს.

ვიცი იხუცის საქმეებიც, რომლებიც დაუწყებიათ ბოლოს საზოგადოებებს, ე. ი. ძლიერ ბერძენულს, იმდენი ხანი გასტანა ასეთმა საქმეებ-

მესამე დიდ დანაკლისად ჩვენში არსებული კანონმდებლობისა არის თვით მთელი მოსამართლეთა კრებულის უქონლობა და იმისი უცხოობა.

ჩვენში არ არის შემოღებული ეგრედწოდებული მსაჯულთა ინსტიტუტი, ე. ი. ის კრებული მოსამართლეთა, რომლებიც ფაქტობრივად სჯიან. ესენი ხალხში არჩეული პირებია, რომელსაც სინიღის ქვეშ არჩევენ საქმეს. ამის შესახებაც ბევრი რამ არის დაწერილი. ასეთი ინსტიტუტის შემოღება კავკასიაშიც არის ყველა მიუდგომელ და სიმართლის მოყვარე პირთაგან აღიარებული, მაგრამ ჯერაც არ არის შემოღებული. ესეთი ინსტიტუტი ბევრს ნაკლს ჩვენის სამართლისათვის შეამცირებს და ძლიერ გამამარტეებს საქმის წარმოებას და უფრო დაუახლოვებს სიმართლეს.

უშთავრესი მძიმე მუხლი ამ კანონმდებლობისა ისაა, რომ ვინც გამოიგნის დროს არ გამოცხადდება, ის უფლებას ჰკარგავს, რომ ითხოვოს ან ახალი გამოიგნოს, ან ვადამოიგნოს და სამუდამოდ ეთხოვება საკუთრება ადვილს. ადვილი კი დარჩება მას ვინც ვაგნადებს, რომ ადვილი მისია, თუ კი მოადევ არ გამოიჩნდა.

ხაზინის წარმომადგენელი—ვექილი ყოველთვის თან მისდევს ყველაზე გამიჯნავს. მეორე, ყველს შეუძლია, ვინც უნდა იყოს იგი, ვაგნადებს გამოიგნოს დროს და ვაგნადებს ადვილს. ადვილი კი დავა გასარჩევად ვადადის ოქვის სასამართლოზე და შემდეგ პალატაში და სენატში. ამ პირებში, რასაკვირველია ის მოიგვს, ვინც იცის საქმის ძალა და ვისაც ღონე შესწევს საქმე იწარმოვოს ამ ინსტიტუტში. გამოკლება შეეძინება მოწყობილ და დარაზმულ ხაზინის წარმომადგენლებთან ვაუტეგებს და საწყალ ხალხს, ადვილი ვასაგებია, რომ

სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით

(გავრცელება, იხ. „საქართველო“ № 94).

წყვილიდით არის მოსილი ბექას შვილის მხრის აღბუღას ცხოვრება და მოღვაწეობაც. ვიცი თხოვრის, რომ მამის იოანეს გარდაცვალების შემდეგ 1444 წელს, იგი დაინიშნა „ნებისა შეწყობა“, ვახტანგ მეექვსისა, სამცხის ათაბაგად, და რომ ამ პლედარებთ აღსავსე დროში იგი განიხილდა „თავდაბლობით და უმოქმედობით“ და სულერთიანად მისცემოდა საკანონმდებლო მოღვაწეობას. მხოლოდ ერთგვარი შეფითა და აწყნ-დაწყნება შეიტანეს აღბუღას მიერ სამცხის მართვა-გამგეობაში, ირტოვებითა და შურით აღტყინებულმა მეფის უჩრბა მთავრებმა და ერისთავებმა მეფის ერთგული და თავმდაბალი აღბუღა გადართქვა ამ ვახტანგისა შურისძიებისა და ათვაღწევისის საგანად. სხენებული თავადები მხოლოდ დროს უცდიდნენ, რომ ამბიხების დროსა აფორილებინათ მეფის წინააღმდეგ. მალე დადგა ასეთი მარჯვე დროც.

აღბუღის ბიძა ყვარყარემ, რომელიც გულგოლიად ვერ უფურბდა თავის ძმისწულს მდგომარეობას, მომარტები გაიჩინა მესხეთას მკვიდრთა შორის. მალე ეს მესხნი მან წააქეზა აღბუღას საწინააღმდეგოდ და ერთ მშენიერ დაღეს ბრძოლით მსოფტა მას, დაამარტბა და თვით მიითვისა სამცხის ათაბეგობა 1447 წ. როგორც მოსლოდნელი იყო მეფე გიორგი მეფე, ფრიად აღმართულთა ყვარყარეს მოქმედებით, განმართა თავისი ჯარით სამცხეში, დაატყვევა მუხანათი და თავისი მორჩილ აღბუღას დაუბრუნა წინანდელი წოდება, რომელსაც იგი არც განშორებია სიკვდილამდე (1451 წლამდე).

ქართულ მატანიშში მოიპოვება ცნობები ყვარელ წოდებულ „კათოლიკოსთა კანონების“ შედგენისა და მათ შემდგენელთა შესახებ. ამ მატანიშთ, იმერეთის მეფის ვიორგი მეხმის (1605-1639 წ.წ.) ცხოვრების აღწერაში ვკითხულობთ: „ამ

ხანებში იმერეთში გახშირდა ცოლ-ქმართა ვაყრა, მკვლელობა, ტყევეთა ფარული ვაყიღვა და სხვა მრავალი სარწმუნოების წინააღმდეგ უწყობება. ამის გამო შეიკრნენ ერთად ქართლის კათოლიკოსი მალაქია და აფხაზეთისა ევდემიონი და ყველა ეპისკოპოსი იმერეთისა და ოდიშისა (სამეგრელოს); ქუთათელი სვიმონ, გენაიელი ანტონი, ქუნიდელი ბედიე, ბედიელი, მოქეელი, დრანდელი ფილიპე, წიგრეთელი კოხანი, ხონელი ზაქარა, ნიკოპოლისელი იოაკიმე და ტიშული კვირიკე და დაუწყეს შესაფერი სასჯელი ამ დანაშაულობათათვის, და ექსორითა სხვა გვიარ ბრალისათვის. ამის შემოქმედებით დადგინდა: 1) „კათოლიკოსთა კანონები“ 2) ნათქვამია ამ კანონების წინასიტყვაობაში, აღმოდებულია „რუჯულის წიგნი“; განსვენებული ბაქრაძის ანოთუ 3) ეს კანონები წარმოადგენენ წმ. ექვთიმეს მიერ (X ს.) ნათარგმნ მე-VI მსარფლიო კრების წესებს; ეს წესები ვაგრცელებულია უკვე საქართველოს ეკლესიაში და მართლაც და შეეგებოდნენ ზოგ იმ საკითხს სჯულისა და კეთილმსახურების შესახებ, რომელიც მოხსენებულია ამ სჯულდების აქტში. უკანასკნელი კანონმდებელი, რომლის სახელსაც უარებს ეს „კრებული“, იყო ბატონიშვილი ვახტანგ მეექვსე. მისი დაბადების წელიწადი ცნობილი არ არის. ვიცი თხოვრის, რომ ვახტანგი მეექვსე, მეფე ლეონის შვილი, 1704 წელს დაინიშნა ერისთავად, რომელიც ვახტანგმა ქართლის სამეფოს ვერ თავესი ბიძის ვიორგი მეექვსის სახელით, ხოლო ამ უკანასკნელის ვარდცვალების შემდეგ, თავის ძმის, მეფე ქაიხოსროს სახელით, რომელიც მანინ სამარტოში იმყოფებოდა. 1712 წელს, ქაიხოსროს სიკვდილის გამოცხობით, იგი სამარტოს წავიდა, რათა მამისაგან გამოეთხოვა

1) „ქართლის ცხოვრება“ II, გვ. 196.
2) კრებული, გვ. 129, მუხლი პირველი.
3) Сторожки сир. 129. შენიშვნა მე-2.

ბულგარეთის მობილიზაციის გარშემო.

ბულგარეთის ჯარის მეტი წილი გაი-
გზავნა ბურგასზე, ვარნა და დედეა-
გაზე, სადაც როგორც ამბობენ ბულ-
გარეთის ვანზრაზული აქვს წინააღმდე-
გობა გაუწიოს მოკავშირეთ, ვინცობა
ამით სცადეს ჯარების გადმოსხმა. მთე-
ლი კომანდო მთავრობის მოქმედებას
და მიღებულ სამხედრო ღონისძიებათ
კმაყოფილებით მიგებენ. ოფიციალმა
წრეებმა განაცხადეს, რადგანაც ბულგა-
რეთში ვარაუდობა შეიცვალა, მთავრო-
ბაც იძულებულია შეიარაღებულ ნეიტ-
რალობას დაადგეს.

ბულგარელი ოფიცრების დაბარება.

ყველა ბულგარელი ოფიცერი, რომე-
ლიც საფრანგეთში სწავლობდა, მთავ-
რობამ გაიწვი ბულგარეთში. სამხედრო
მეტარებლები მძიმე ხარზახნებით ფი-
ლიპოპოლიდან უცნობ მიმართულებით
მიგზიდნიან.

ბულგარეთის გამოხვალა და ფრან-
გული პრესა.

საფრანგეთის ყურადღების ცენტრად
დღეს ბულგარეთია. თუნცა ბულგარეთმა
მილია გადაწყვეტილება მიემზროს გერ-
მანიას და ოსმალეთს, მაგრამ თუ შე-
თანხმების სახელმწიფოები ენერგიულ
ზედმოქმედებას გამოიჩინენ, შესაძლებე-
ლია ბულგარეთმა გადაიფაროს.

„Petit Parisien“-ი სწერს: ბულგარე-
თის პოლიტიკა—რეალისტური პოლიტიკა.
სულ შეახსენებ წითეს სწორედ ეს
ოველიში ფრონტს გამოაცხადებენსო.
განხილეთ განგომობს, შეთანხმების სახელ-
მწიფოებისთვის არც ისე მოულოდნელი
იყო საქმის ასეთი სერიოზული გართუ-
ლება.

„Echo de Paris“ ხანდაზუმეღად მო-
ახროგს, რომ შეთანხმების სახელმწიფო-
ებმა შესაფერი პასუხი გასცენ ბულგარე-
თის ნაბიჯს. ვახეთის ახრით, ამ პრობ-
ლემის გადაჭრა სულ უზრალოდ შეე-
ძება.

„Journal“-ის ახრით, სერბები ადგი-
ლად შესვლემენ თავის დაცვას, რადგან
ნაც შეთანხმების სახელმწიფოები მას მი-
შველებიანო.

„Paris à Hidi“ მოავრებს, ბულგარე-
თის აგრესიული მოქმედება ბუქარეს-
ტის ხელშეკრულების გახადილებსო.
ამიტომაც ბულგარეთის თანხისათვის
ათვის ამობილებული ჯარი, თავის მხრივ რუ-
მინია-საბერძნეთის ცხრასათვის ჯარის-
კაცს ათობილებს შეთანხმების სახელ-
მწიფოების სასარგებლოდ.

„Temps“ ი სწერს: ინგლის-საფრანგე-
თის ფლოტი ეგის ზღვაში და რუსისა—
შავ ზღვაში ბულგარეთის საწინააღმდე-
გო ოპერაციას დიხაბაც რომ მოხდენი-
ლად და ლარსუვლად ჩაატარებენ მეო-
რეს მხრით სალონიკში გადმოსხმული
დიდი ღღსანტი მიეწველება სააგრონთის,
რომელიც ჩვეს საერთო მოკავშირეს—
სერბებს—იალოლით ხელში ამოუღდება.

სერბების პოლკები ბულგარეთის
სახლგარეგ.

სოფლიდან იუწყებიან, სერბების მთავარ
შტაბის სადგომში საძიფო ტუბოა გაიპარო-
თა. სერბების ჯარი მზად დგას ბულგარე-
თის სახლგარეთ.

სერბების წრეებში.

სერბების წრეებში ეჭვობენ, მომ-
ხლარ ამების შემდეგ ბალკანე-
თის კუნძულზე უფროდ ომი იფაქტე-
სო. საბერძნეთმა მობილიზაციით უპასუ-
ხა ბულგარეთის შექარას. რუმინიაც მალე
ამ გზას დადგება. რრივე გარშნის
ბულგარეთის ბატონობის ხიფათს და
ამიტომაც მათი შეერთება და მოქმედე-
ბის შეთანხმება აუცილებლად მოხდე-
ბა.

საბერძნეთის პოლიტიკა

საბერძნეთის მისიის რუმინებულმა
პეტროგრაფში ბოლბა დამიტი კაკლო-
მოლოსმა განაცხადა შემდეგი: ნაშედე-
გად ვერ მიგყავთ, საბერძნეთსა და
სერბებს შორის დიდებული ხელშეკრუ-
ლობა ავალდებს თუ არა საბერძნეთის
ღღვეანდელს პარიკაში სერბის მიე-
შელოს. საბერძნეთის მობილიზაცია გა-
მოიწვია იმ საფორსებზე, რასაც მოასწა-
ვეს საბერძნეთისათვის ბულგარეთ მო-
თადირიგეთა მოქმედება. შეიძლება ბულ-
გარეთის გულში ეღოს საბერძნეთის წი-
ნააღმდეგ რიგე ვარსებული განზრახვა.
ბულგარეთის საქმეა დიდი ძალეით თავის
იყოთის კიდევ საბერძნეთის სახლგარე-
გ. მოსალოდნელ ამებებს ვერ დავასწვებ და
ვერ ვაგებდვ იმის მტკიცებას, რომ სა-
ბერძნეთი ბალკანეთის ომში, დღეს მა-
ინც და ნაინც ჩაერგეო.

ბერძნები მილიან.

ბალკანეთის კუნძულზე მომხლარ ამბე-
ბის გამო მთავარდრივე ბერძნები სტი-
ვენტერ ყიროსა და კავკასიას და სამშო-
ბლოსკენ მიემგზავრებიან.

რუმინია.

რუსეთის დიპლომატიურ წრეებში
რუმინის საკითხი ჯერ სრულიად გამო-
ურკვეველი დგას. ხოლო რაც შეეხება
საბერძნეთის მობილიზაციას, იგი სერიო-
ზულ ფაქტორად არის მიჩნეული, რადო-
სლავიების მთავრობის საფრანგულში ჩა-
საგდებად.

გარეშე საქმეთა სამინისტროში.

ავსტრია-გერმანიის ელჩები წამდა-
უნუმ დიაირებიან ბუქარესტის გარეშე
საქმეთა სამინისტროში. ბულგარეთის
საელჩოსა და რუმინის გარეშე საქმეთა
სამინისტროს შორის ინტენსიური ურთი-
ერთობაა. კერძო ცნობების გადმოცემით,
რუმინის კაბინეტში შეტისმეტად გამ-
წვადა ბრძოლა, იმის თაობაზე, თუ რა
პოზიცია უნდა დაიკიროს რუმინიამ იმ
შემთხვევაში, თუ ბულგარეთი ბრძოლაში
ჩაება. პოზიციის გამოკვევას ამ მიხ-
ლობელ დღეებში მოვიღიან.

წინასწარი ცენზურა.

ბერლინიდან იუწყებიან, ბულგარეთში
წინასწარი ცენზურა შემოიღესო.

პროკლამაციები და დაბატობრება.

ბერლინიში პოლიციამ დაიკარა დიდ-
ძალი პროკლამაცია „ომი და პროლე-
ტარიატი“, რომლის ავტორებია კ. ლი-
ბკენხტი და ორი სოციალისტი-უზრნა-
ლისტი. დაბატობრებს უზრნალისტიებისა
და სტაშის მუშები. საქმე პროკლამატი-
რას გადაეცა. დაიბატება და ღარიგად
ავრედეგე მეორე დიდძალი პროკლამა-
ცია: „ეინ არის დანაშაუე საანექსო

უფურცებისაო?“. ორთავე პროკლამაცია
ხალხში ძალიან გაავრცელდა. პარტიულ
წრეებში ერთგვარი შეშოიცი კე გამოი-
წვია. პროკლამაციამ ალაგ-ალაგ ჩრე-
კაც მოახდინა. გამოირკვა ომი მოწო-
დებები ბერლინის ერთ-ერთ სტაშაში
დაბეჭდილა და არა სადმე შეეცარიაში

ფრანკლების აღრიცხვა.

გერმანიში პირველ ოქტომბერს უნ-
და მოხდეს ფრანკლების აღრიცხვა.
მკაცრი სასჯელი დაწესებული, ვინც ან
გადამაღავს ფრანკლებს, ან კიდევ ყლბ
ცნობებს გასცემს.

გერმანიის საფრანგეთი.

სენატორი ჰანრი ბერანესი, სამხედრო
კომისიის მომხსენებლის, მოხსენებიდან
სწინას, რომ მდ. მარნაზე უკუ დახევის
ღროს, გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ
საუცხოესო სამრეწველო რაიონი საფრან-
გეთისა. დაქუილ შვად დებარტამენ-
ტიდან, ოთხი ყველაზედ უფრო ვანე-
თარბული სამრეწველო კუთხეა მიელს
საფრანგეთში ამ ადგილების დაპყრო-
ბით გერმანელებმა ხელი იგდეს საფ-
რანგეთის მთელი ქენანსირის 68 პრო-
ცენტი, მთელი კოკის 78 პროცენტი,
მთელი რუნის მადანის 90 პროცენტი,
მთელი თუნტის 86 პროცენტი და საფ-
რანგეთის მთელი ფოლაის 70 პრო-
ცენტი. საფრანგეთის მანქანებიდან, რომე-
ლოა რიცხვი უდრის 81,675, გერმანე-
ლებმა ხელი იგდეს 12,887 ც. ო. 16
პროცენტი. ყველაზედ უფრო ძლიერი
მანქანები ამ წოდებულეებში მოკვერა. ერ-
თი სიტყვით ფრანკის მანვერმა გერმანე-
ლებს ხელში ჩაუგლო საფრანგეთის სა-
მრეწლო რაიონ წარმოების მთელი სამი
მეოთხედი. 8,714 მილიონი ტონი საერ-
თო წარმოებიდან, ამ ოთხ დეპარტა-
მენტს 6,723 მილიონი ტონი უწვეს.

შტაბის ღეპეშეები

პიტროგრაფი, 16 სექტ. ოფიციალი.
ფრიდრიხ შტაბის ჩრდილო-დასავლეთ-
თი გერმანელებმა უნაყოფად მიიტა-
ნეს იერიშები სოფელ ლიგერზე და
ჩუქშუზე, ბრისგაღწეის ჩრდილო-დასავ-
ლეთით. მათი იერიშები შეგრებულ
იქმნა ოფიცისა და ხაარტიღერიო ცეც-
ხლით. დვინსკიდან შეუწყვეტელი სა-
არტიღერიო ხრაღლა. გერმანელთა იე-
რიშები მთელს ფრონტზე სოფ. გიტენ-
თან; ნაგერის ტახთან და გედუხის
ტახთან შეგრებულ იქმნა რუსების
ცეცხლით. ბრძოლა გრძელდება. სოფ.
კოზიანის რაიონში რამდენიმე შეჯა-
ხება მოხდა. ქრევის ჩრდილოეთით და
ღაშინანის ხამსრეთ-აღმოსავლეთით გერ-
მანელებმა ენერგიული იერიში მოიტა-
ნეს და რაოდენ დმე ამქულეს რუსის
ჯარები უკან დაეწიათ. პრიპიატის ხამ-
სრეთით გერმანელებმა რამდენჯერმე
შეუტებეს ჭოტორის. ჯერ ყველა იე-

რიში მოგვრებულ იქმნა, მაგრამ შემ-
დეგ როცა მაშველი ჯარები მოუვი-
დათ, რუსები სტორის მარჯვენა ნაპარ-
ზე გადავიდნენ. 15 სექტ. ნოფო-ოდექ-
სინეცთან გერმანელებმა სამჯერ მოი-
ტანეს იერიშა, სამჯერმე მათ უზრგი
გამაგრებული ჰქონდათ ხაარტიღერიო
ქარშხალისებური ცეცხლით, ყოველ-
თვის მათს იერიშს რუსები აკავებდნენ
საარტიღერიო ცეცხლით. სოფ. კუპან-
ცეს რაიონში, მდ. სტრიშევი, ტარსაპო-
ლის დასავლეთით, საარტიღერიო ბრ-
ძოლა მძვინვარებს. მძაფრი ბრძოლის
შემდეგ რუსებმა აღღეს მათი თხრილე-
ბი და ფეხშოსკიდებელი პუნქტი სოფ.
სოდაჩეს დასავლეთით. რუსები იერიშს
განაგრძობენ. ჯერ ნოდავი მიიშხადეს
საარტიღერიო ცეცხლით, შემდეგ ხიშ-
ტებით შეუტობს მტრის მავთულეები
გადალახეს და კუპანსცეს აღმოსავლეთ-
თით აღღეს მათი ხანგრების ერთი რი-
გი.

ქალაქთა კავშირის მთავარ რწუნებულის
თანაშემწეს პროფესორს კიშინს, რომ
კავშირის დაწესებულებათა საჭირო-
ებისათვის საჭიროა ნახევარი მილიონი
მანეთი და გამოზავნეთა. ხატისოი ავ-
რედეგ თხოვლობის გადმოხვეწითთვის
რაიგე ნაწილის ერთი მილიონი მანეთი-
დან, რომელიც ქალაქთა კავშირის მიუ-
ლია ერთობათა კავშირისაგან საერთოდ
გაღრბეწვითა სასარგებლოდ.

კრევა. დღეს, სლაიმის 7 1/2 საათ-
ზე, დანიშნულია ქართული კულტურის
მოყვარ. საზოგადოების კანცელარიაში
კერძო თათბირი საგანგებოდ მიწვეულ
პირთა. საგანი თათბირისა არის წალვერ-
ში ქართველ მოღვაწეთათვის ავარკის
ავგისი შესახებ საქმის მოწესრიგება.

კიდევ აპარტოა საქმე როგორც
ბათუმიდან გვაცუბანებენ, ახლო მომავ-
ლში კიდევ 76 ავარტელს ჩაბარებენ
საბრალდებლო ოქმს. ამთაც სახეო-
მწიფოს დალატს აბრალბენ.

ქართული წარმოღვენი. შაბათს,
19 სექტემბერს ხარფუხის საზოგადო
კულტში წარმოღვენილი იქნება სენდუ-
კიანციის ცნობილი პიესა „პეპო“. მონა-
წილეობას მიიღებენ ქ. პ. ვიქტორელი,
კ. დ. ყოფიანი, ვ. მ. გამყრელიძე და სხ.
წარმოღვენაზედ შესული უფისო.

მეგრების წახვლა.

ფურცლის ცნობით, ეპისკოპოზი მე-
რამი თავს ანიებს თავის თანამედე-
ბოსო.

კრება. კავკასიელ ქალია საზოგა-
დოების ქართული სექციის წლიური
კრება დანიშნულია შაბათს, 19 სექტემ-
ბერს სლაიმის 6 საათზე, სექციის ბინა-
ზე (მატერიალნი ქუჩა № 16, წყნეთის
ქუჩის ბოლოში). გასარჩევი საგნები: 1)
სექციის მიმდინარე საკითხები, 2) ან-
გარიში სექციისა და სასაიდლოის 3) სა-
მკერვალოს გახსნის შესახებ და სხ.

დარბაზია. 16 სექტემბერს მე-
ფის მიაღდელის თანამედებობის აღმას-
რულებელი, ინვანტერიის გენერალი
ნ. ნ. იანუშვილი, ქალაქის მოფრავ ა. ო.
ხატისოვთან იყო სადარბაზოდ.

გამოქვეყნულ ხომხების დახმარება.
ქალაქის გამგებამ დაადგინა, რომ ო. ა.
მანთაშევის მიერ შემოწიროულ 25 ათას
მანეთით თბილი ტანსაცმისაგან უყიდოს
გამოქვეყნულ ხომხებს.

წარმოღვენი ხარფუხის კლუბში.
16 სექტემბერს ქართულ მსახიობთა
ჯგუფმა ხარფუხის კლუბში წარმოადგინა
გ. გუნისის მოქმედებითი კომედია „სი-
ძე-სიმამრი“. წარმოღვენის საკმაოდ
ბოლბა ხალხი დაესწრო. წარმოღვენიამ
ჩინებულად ჩაიარა.

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის-
კაცები. თბილისის ლახარეთებში იმყო-
ვებიან შემდეგი ქართველი ჯარის კაცე:
გვერეტაძე ილიკო მალაქის ძე, ვა-
ნაიკიე სილოვან თიანასეს ძე, კონიშვილი
ზაქრო დიმიტრის ძე, შარაშანიძე გედე-
ვიან დიმიტრის ძე, მასაიდაშვილი გიორ-
გი ანდრის ძე, მუშუტელიანი ალექსი ან-
ტონის ძე, ფიქტიშვილი ივანე პავლეს
ძე, თანდელაშვილი ვასილ დავითის ძე,
გაბუნია ბესარიონ მიხაკას ძე, შარაშიე
ფიფქვდ გიორგის ძე, ქუთათელაძე დათა
ნიკოლოზის ძე (პოდპოროჩიკი).

ხოლერა. 16 სექტემბერს ქალაქის
ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 3 და
ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. გარდაიც-
ვლა 6 კაცი. გულში ლაზარეთში იმყო-
ვებოდნენ ხოლერიანი 156 და ხოლერის
ნიშნებით 6 კაცი.

გალამდები ხენი. 17 სექტემბერს
ქალაქის თავშესაფარში იმყოვებოდნენ:
შავი სახადიანი 40, ქუნტორუიანი 45,
საიფლიანი 29, ხუნგვიანი 24, მუცელი-
ანი 6 და ყველიანი 1 კაცი.

რედუქციამ მიიღო „ნაკადულის“
მირიგი სამერი მკითრწლოვანთათვის.
ნომერი სინტირესოა. ყურადღებას იკე-
რობს შოი მღვიმელის ლექსი „ფაფა-
ფაეგლას სლოვანს“ და ილია ნაკაშიძის:
„ფაფა-ფაეგლა“.

პრესა

ამ ეზმად რუსეთში აღძრა წინასწარი
ცენზურის შემოღება, სწორედ ისეთი,
როგორიც იყო, ეთქვით, მას ფეხმა შინა,
როდესაც რეფორმების შემოღება მმარ-
თველ წრეებს ციებ-ციხელებასა ჰგვრდა.
ამ ამბავს შემოფრთავითა თვით „ნოვოე
ტრეპიაიკ“ კი, რომელიც სხვათა შორის
ამბობს:

„მომე ხმები დღის... ამბობენ წი-
ნასწარ ცენზურის შემოღებაზე, რაი-
გვაბრდება ჩვენი მეჭვდითი სიტყვა და-
უბრუნებს იმ უსიციუბლო მდგომარეო-
ბას, რომელსაც რეფორმების შემოღე-
ბამდე განიცდიდა გაწამებულ რუსის
საზოგადოების ამდენი ვანდის შემდეგ,
როცა პოლიტიკურ სიმწიფის მოწმობა
ჩაიბარა, ახალი განცდა აღღება თავს
ამ მამე და აუტანეს პირობებში, რომ-
ცა მტრის პირისპირ წარსლგობია და
უფობა კი არა აქვს მოისმინოს თავი-
სუფილი კრიტიკა... საზოგადოება მე-
ჭაინელი ძალა არ ვახლავთ. რამდენა-
დაც იგი ხელს და გულს სდებს თავ-
ვის ნაწარმოებში იმეზად უფრო ხას-
ტაკად ნუკრობა იგი თავის თავსაც და
მთავრობასაც, აქედან დასკვნა ისაა, რომ
თავისუფალი კრიტიკა შეიძლებადეს
საზოგადოებრივ კითხვებზე მეჭვდითი
სიტყვა თვისი კრიტიკით; თვისი გამო-
სვლით, ამტიკუბის საზოგადოებრივ სი-
ფხილეს, ებრძვის მთავრობის პასიო-
ბას და ბნელ ძალთა გაბატონებას,
რომელიც ამომიბეჭდ და ართულებენ
ისედაც აუტანელს და მძიმე მდგომარე-
ობას... რუსულ საზოგადოებას რომ
მოუხსო თავისუფალი სიტყვა, ეს იმას
ნიშნავს, რომ რუსეთში მტრის ახალი

იარალი მიეცეთ ხოლო, რა კომე ახალ-ახა-
ლი ბნელი ხმები გაიწვიოს საზოგა-
დოების დასწვლის სიტყვა საზო-
გადოება მოკლებული იქნება მოისმინოს
გავრცელებული ხმები, რომელიც გველის
სისინიფით მოისმინ ჩვენი მტრებისაგან,
როგორც მომავლენდელი მათ მიერ
გამოშვებული მახრობელა ბოლი. იქ,
სადაც მთავრობასა და ქვეყნის შუა
ერთსულოვნობა ჰსუფევს, საზოგადოებ-
რეი სინიღის ყოველთვის დამშვიდე-
ბულია მამ რას ჰმფოთვენ? რა საკი-
როა ეს წინასწარი ცენზურა? იგი სრუ-
ლი მომსახობი იქნება თავსუფალ სიტ-
ყვისა, რაიკ გვიხატავს საზოგადოე სა-
სოგბას და მათს იმედებს. რუსულ სა-
ზოგადოების მოთხოვნისგანთა უარის-
ყოფა რუსეთის საჭიროებათა მომთხო-
ვლის გამოცხადება ნუთუ ზედმეტი და
გამარყვავი ტვირთი არ იქნება მთავრო-
ბისათვის. ნუთუ ისედაც მძიმე ტვირთს
არ შეადგენს ეს პასუხისმგებლობა; რაიკ
კისურზე დასწოლოა? ნეტავ რად არა
ბულიკამ და ამომიბეჭდ იმ ტვირთს,
რასაც დამოუკიდებელი რუსეთი პრევა
უმსუბუქებდა ჩვენი საზოგადოებას?“

შარა რა გუშინ...

მიყოლებული პაროგინიაში მომხდდა
ხელში რამდენიმე ჩვენი ქართულ გავე-
თების ნომრები: „ახალბო ფურცლისა“
და „თანამედროვე აზრისა“.

განგებ შეგრირილი იყო და წითელ
კარანდაშით შემოხაზული.

ერთი რიგი ნომრებისა ბ. სიტყვას
„პატარა ამბებს“ ეკუთვნოდა და მის
ქვეშ მზრუნველმა ხელმა კობტად მოკე-
ცა „თანამედროვე აზრის“ გაცეით, სა-
დაც მოთავსებული იყო ბ. დათიაშვი-
ლის წერილი „ბებენცების“ საკითხზე.

თავისუფალ ადგილზე იმავე კარანდა-
შით უცნობ ქართველ მეითხველს მრავალი
შენიშვნა გაუკეთებია.

ერთ ადგილას ასეთი წარწერა შე-
მხვდა...

„თქვენა სწერთ... მაგრამ პასუსს ვინ
ავებს?“

გაღვიკითხე ახლად ქართველ სოცია-
ლისტების ნაწიერები. იგი ეხებოდა ქარ-
თულ პოლიტიკას ჩვენ მეზობლებისადმი.
სანტიმენტალური წერილები ბ. „სი-
ტყვასი“ კვლავ თავისას გვიჩახვდა.

„თუ ვაგარტყან ერთ ლოყაში, მეორე
მოუშვირო...“

პაწაწკინებულა მოსწავლე ბ. დათიაშვილი
ასწავლიდა „თანამედროვე აზრის“ მე-
თხველს დიდ ქუქასა და ზავშურად თა-
ვის სოციალისტურ უკიდურესობის დასა-
მტკიცებლად მოუფიქრებლად აბუტლებდა
ქართველობას: ქართველ ნათიანალის-
ტებს შერთ „ბებენცებზე“ მთავრობის
მიერ დახარჯული მილიონებით, აღბად
ეს უფლი თავის „ბებენცებზე“, ოსმალე-
თში გაქვეყნებულ, სულოდათ მოგზმარათო.
ნაწვენა შეცნობამა ქართველმა მეითხველმა
ბ. „დათიაშვილის უტყაურო ნაწერის
გვერდებზე წაწერა:

„თქვენა სწერთ... მაგრამ პასუსს ვინ
ავებს?“

მართლაც და, უცნობ ქართველ მე-
თხველისა არ იყოს, პასუსს ვინ ავებს
პირად გრძობებით ნაკარანახევ და ასეთ
უსუსტო პოლიტიკურ წერილებზე?

რასაკვირველია, არა ბ. სიტყვა და ბ.
დათიაშვილი, არამედ მთელი ქართველი
ერი, რომელსაც 15 წლის უპასუხისმგებ-
ლო სოციალისტური პოლიტიკა კიდევ
კარგად დაუგვარა.

ყველა ჩვენი კარები ღიაა და დღეს-
ხვად უტყობ სტუმრები სახლიდანაც გავგ-
რეკივებ.

მაშინ რაღა დავგრჩება?

ბალტეელ რედუქციებში რედუქტორე-
ბის მაგდლებზე ჩამოხსნდეთ და შემოე-
ძახეთ:

„ტარა, რა ბუშბია, სიტუ ნა ტუმბია,
ო ნოეკი სესილა, ო ოჩენ ვესელია“...

ეკალი.

შუაინულ პარიონა

შვეფავა ჩვენი მდგომარეობა საზოგა-
დოდ, მაგრამ ეს სიმწვევე იმდენად გვი-
უჩნდება, რამდენადაც ჩვენი საზოგადო-
ებრივი ცხოვრება სიცოცხლეს იჩენს და-

ბრკოლებათა ზღუდის გადასახად და სულის მოსათქმელად. მაგრამ არის ერთი კუნძული საჭირბოროტო საკითხთა შორის, რომელიც ინდიფერენტობით შეყინულა. მე მოვასახეებთ ჩვენს ეკლესიაზე და მის ბედზე. ჩვენი სამოქალაქო, შეიძლება თამამად ითქვას, სრულს აბატიას მისცემია და ყოველ დღე მოლოდინშია, რომ სხვამ უშველოს... რომელიმე მწყალობელი და დამხმარე აღმოუჩნდეს. იგი იმ ბედკრულ ადამიანს დაემშვიდობა, რომელიც მარტოველი ძეგლია და ყველა სიტყვიერი მანუშგუბელი ჯადოსანი მკითხავი ჰგონია, რომელიც მის გაჭირვებიდან ამოიყვანს. ჩვენი სამღვდელთა ასეთ მკითხველ-მარტოვალ ბევრი მიუჩნევა, მაგრამ ამ ბევრთაგან არც ერთი არ გახმარებული იმდეთ. გვეგონა, ეს მაინც უკუასასწავლიდა და თავის თავზე აღიჭრებინებდა მას, ან და იმ შეგნებამდე მიიყვანდა, რომ ყოველ ადამიანს, ყოველს დაწესებულებას, ჯგუფს, წოდებას, მთელს კასტას ისევ საკუთარი ინიციატივა, საკუთარი თავის გამოდებობა.

თუ იხსნის, თორემ სხვა არაფერ წავიდა ის დრო, როდესაც „მწყალობითა ღვთისათა“ რამე კეთდებოდა, ანუ ვინმე ფაბრიკატობა ალაღებდა ამა თუ იმას. ესაა ყველა საკუთარ ბედის მქედელი თვითვე. სამღვდელთა ეს კარგად უნდა ჰქონოდა და ჰქონდეს კიდევ გათვალისწინებული, თორემ რა ბედანაა ყოველ დღე ლოდინი სანატრელ სიძისა, რომელიც თავის თავად მხოლოდ „მას ეამსა შინა“ ქობილიდა.

ამის მაგალითი შორს რომ არ წავიდე, ახლო წარსულიდან და მიმდინარე დროიდანაც შეგვიძლიან მოვიყვანოთ, როდესაც ყოველად სამღვდლო ეგზარხოსი პიტირამი ჩამობრძანდა, სატახტო ქალაქის პრესამ და ადგილობრივმა თურნალ-გაზეთობამ მილოციის განგაში ასტება. გვახსოვს, ნეტარი და ტკბილი სიტყვები ღვდელთაფრისა, როგორ საღმუნებით ევლინებოდა ქართველის გულს. გაბრუნება და განცვიფრება უერბანეთს ეცილებოდა. საქართველოს ეკლესიას ეშველა... საქართველოს სინის კვლევა გაბრუნდებოდა... იმედები... დაპირებანი... დაუსრულებელი იმედები... ყოველად სამღვდლო ახალი მწყემსთაფარი ალთქმას ალთქმაზე სდებდა. საინდრად ისიც ჰქმაროდა, რომ სიონში პირველად რუს მწყემსთაფრისგან გაისმა ჩვენი სამშობლო ენაზე ასამაღლებელი ეს თილისმა ნამდვილ მალამოდ მოეცხო დასერილ გულს. ასამაღლებელს უსათუოდ მოჰყვება განახლება... რეფორმები... ზოგის იმედები არ ეცოდალბოდა ოცნებათა-ოცნების განხორციელებას, რომ... მათი სეუფება პირველი იმედებს ჩვენი კათალიკოზის კვერთხს... მაგრამ მიღის დრო და ალთქმა ალთქმად რჩება, ყოველისფერი ისევ ისეა, როგორიც მათი მეთუფების ჩამოსვლამდე იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამწუხრებულ სიონის ოდნავ გაღიმებას, როდესაც მწყემსთაფარი ქართულად ინებებს ასამაღლებლის წარმოქმნას. სხვაფერზე არავითარი სანუგეშო შედეგები.

ისევ ისე საშიშ მდგომარეობაშია ჩვენი სემინარიის შენობის საკითხი. რათ იხდის ეს შენობა ახალ სემინარიის შენობის ფულს? რათ დააკისრეს მისი ვალი? რატომ ახდენიან სინოდი ზედმეტ ხარჯს? რათ მიჰყავთ ეს ერთად-ერთი ჩვენი სამღვდლოების საუნჯის საქმე სრულ კრახამდე? რად აკარგებინებენ ხელოვნური საშუალებით?

შესაძლებელია, რომინობის გამო ყოველად სამღვდლო მოცლა არ ჰქონდეს ქართულ ეკლესიის საკითხთა გადასაკრეულად. შესაძლებელია ისიც, რომ იგი მოვლის პოლიტიკურ მდგომარეობის ცვალებადობას, მაგრამ... მაინც ნიშნები უნდა გამოჩენილიყო მათი სურვილების ნაყოფიერებისა, ეს იმ სურვილებისა, რაც ჩამობრძანებისთანავე აუწყა სამწყსოს თავისი

დ. კ - ბე. მამართვა ბულგარეთის ხალხისადმი. მოსკოვში არსებული ბულგარული კულტურული-საქველმოქმედო წრები კრება გამოართა, რომელსაც ბლომად დაესწრნენ ბულგარული კოლონიის წარმომადგენელი. წარმოითქვა მრავალი ცხარე სიტყვა მთავრობის ნაბიჯის დამეზობი, კრების დასასრულს აირჩიეს საგანგებო კომისია რომელსაც მიანდევს ბულგარეთის ხალხისადმი მისამართი მოწოდების დამუშავება. მოწოდება გააფრთხილებს ბულგარეთის ხალხს რომ არ გაჰყვებ მთავრობის სახიფათო ნაბიჯს და ყოველისმხრით წინ გადაეღობოს მის მოქმედებას. მოწოდება ბულგარულ გაზეთებში უნდა გამოქვეყნდეს.

სამხედრო ცენტრის შედამხედველობის გაძლიერება. გორემიკის თანხმობით გუბერნატორებს და აგრედვე სამხედრო ცენტრის ორგანოებს დაეზახანა ცირკულიარული წინადადება, რომ დაუფორმებულ მიღებულ იქნას ზომები თვალყურის დევნის გასაძლიერებლად უფრო-გაჭკობზე, რათა სრულის სასტიკით დაკულ იქნას წესები სამხედრო ცენტრის.

ყრილობისგან არჩეული დეპუტაცია. სრულიად ერთბაშა და ქალაქთა ყრილობებისაგან სადებუტაციოდ არჩეულ პირებს კერძო თამბორი ჰქონდათ, თუ როგორ შეესრულებინათ მათდამი რწმუნებული მინდობილება. დებუტატებს მიანდევს სრულიად რუსეთის ერთბაშა კავშირის მთავარ რწმუნებულს თავ ვ. ე. ლვოვს გამოსთხოვის თუ რა დროს შეეძლება დებუტაციას აუდიენციებზე წარსდგომა. თავადმა ლვოვმა წერილობით მიმართა ამის შესატყობად.

მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის სხდომას მოხსენდა, რომ ორშაბათს, 14 სექტემბერს, საღამო ჟამს მოსკოვში, ენების მოედანზე არეულობა მოხდა. ქალაქის უფროსის ცნობით მოუკლავთ ოთხი კაცი და დაუჭირათ ცამეტი.

სკოლები გამოქვეყლთათვის. მოსკოვში პოლონელთა კომიტეტმა დააარსა პირველი ოთხ კლასიანი სკოლა გამოქვეყლებლის შეიღებისთვის. სკოლაში ქალებიც იქნებიან მიღებული და ვაჭებიც.

21 სექტემბერს კომიტეტი ხსნის მოსკოვში რეალ სასწავლებელს გამოქვეყლების ბავშვებისთვის.

ლატიშთა კომიტეტმა მოსკოვის სხვა და სხვა ნაწილში 8 პირველ დაწყებითი სკოლა გახსნა.

მეორე რიგის მოლაშქრე-მოწაფეები. სამხედრო საკრებულოს მთავარ გამგებამ გუბერნატორებს ცირკულიარი დაუგზავნა, რომელიც შეიცავს დაწყობილებით ცნობებს იმისას, თუ რა წესით უნდა გადაიდოს ვადა მეორე რიგის მოლაშქრე მოწაფეებისა. ცირკულიარის ძალით, სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოწაფეები ორ ჯგუფად განიყოფებიან, იმის და მიხედვით მოწაფე მთავრობის სასწავლებელში არის თუ კერძოში. პირველი რიგის მოწაფენი უსათუოდ განთავსდებულნი იქნებიან, ხოლო რაც

რუსეთის ცხოვრება

თავრიდის სასახლეში მოუთმენლად მოელოდნენ მთავარსარდლის სადგომიდან შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის ჩამობრუნებას, რადგანაც იმედი ჰქონდათ რამოდენიმე მაინც გამოიკვევოდა ის არეული მდგომარეობა რომელიც შექმნა საკანონმდებლო დაწყებულებათა დათხოვნამ და თვით სამინისტროში ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმდინარეობის ბრძოლამ. იმედები გაუტრუდათ. მათი დაბრუნების შემდეგ სათათბიროს წრეებში ერთიმეორის მოწინააღმდეგე ხმები დადის. საერთო მდგომარეობა ძველებურად გამოურკვეველი და გამწვავებულია.

მამართვა ბულგარეთის ხალხისადმი. მოსკოვში არსებული ბულგარული კულტურული-საქველმოქმედო წრები კრება გამოართა, რომელსაც ბლომად დაესწრნენ ბულგარული კოლონიის წარმომადგენელი. წარმოითქვა მრავალი ცხარე სიტყვა მთავრობის ნაბიჯის დამეზობი, კრების დასასრულს აირჩიეს საგანგებო კომისია რომელსაც მიანდევს ბულგარეთის ხალხისადმი მისამართი მოწოდების დამუშავება. მოწოდება გააფრთხილებს ბულგარეთის ხალხს რომ არ გაჰყვებ მთავრობის სახიფათო ნაბიჯს და ყოველისმხრით წინ გადაეღობოს მის მოქმედებას. მოწოდება ბულგარულ გაზეთებში უნდა გამოქვეყნდეს.

სამხედრო ცენტრის შედამხედველობის გაძლიერება. გორემიკის თანხმობით გუბერნატორებს და აგრედვე სამხედრო ცენტრის ორგანოებს დაეზახანა ცირკულიარული წინადადება, რომ დაუფორმებულ მიღებულ იქნას ზომები თვალყურის დევნის გასაძლიერებლად უფრო-გაჭკობზე, რათა სრულის სასტიკით დაკულ იქნას წესები სამხედრო ცენტრის.

ყრილობისგან არჩეული დეპუტაცია. სრულიად ერთბაშა და ქალაქთა ყრილობებისაგან სადებუტაციოდ არჩეულ პირებს კერძო თამბორი ჰქონდათ, თუ როგორ შეესრულებინათ მათდამი რწმუნებული მინდობილება. დებუტატებს მიანდევს სრულიად რუსეთის ერთბაშა კავშირის მთავარ რწმუნებულს თავ ვ. ე. ლვოვს გამოსთხოვის თუ რა დროს შეეძლება დებუტაციას აუდიენციებზე წარსდგომა. თავადმა ლვოვმა წერილობით მიმართა ამის შესატყობად.

მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის სხდომას მოხსენდა, რომ ორშაბათს, 14 სექტემბერს, საღამო ჟამს მოსკოვში, ენების მოედანზე არეულობა მოხდა. ქალაქის უფროსის ცნობით მოუკლავთ ოთხი კაცი და დაუჭირათ ცამეტი.

სკოლები გამოქვეყლთათვის. მოსკოვში პოლონელთა კომიტეტმა დააარსა პირველი ოთხ კლასიანი სკოლა გამოქვეყლებლის შეიღებისთვის. სკოლაში ქალებიც იქნებიან მიღებული და ვაჭებიც.

21 სექტემბერს კომიტეტი ხსნის მოსკოვში რეალ სასწავლებელს გამოქვეყლების ბავშვებისთვის.

ლატიშთა კომიტეტმა მოსკოვის სხვა და სხვა ნაწილში 8 პირველ დაწყებითი სკოლა გახსნა.

მეორე რიგის მოლაშქრე-მოწაფეები. სამხედრო საკრებულოს მთავარ გამგებამ გუბერნატორებს ცირკულიარი დაუგზავნა, რომელიც შეიცავს დაწყობილებით ცნობებს იმისას, თუ რა წესით უნდა გადაიდოს ვადა მეორე რიგის მოლაშქრე მოწაფეებისა. ცირკულიარის ძალით, სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოწაფეები ორ ჯგუფად განიყოფებიან, იმის და მიხედვით მოწაფე მთავრობის სასწავლებელში არის თუ კერძოში. პირველი რიგის მოწაფენი უსათუოდ განთავსდებულნი იქნებიან, ხოლო რაც

შეეცმა კერძო სასწავლებლებში მოსწავლე ომში გასაწვევ მოწაფეებს, მათი გაწვევა-არ გაწვევის საკითხი გადაცემა გადასაწყვეტად გენერალურ შტაბის მთავარ გამგებანს. ასეთ შემთხვევებში განთავსდებულნი უზამდგომლობა უნდა აღძრან იმ მინისტრებმა და მთავარგამგებლებმა, რომელთა უწყებაში მოქცეული იქნება ესა თუ ის სასწავლებელი.

უბელური შეთხვევა

კახეთის რკინის გზაზე. საგარეჯოს ახლოს, მე-49 ვერსზე, კახეთიდან 15 სექტემბერს მომავალ მატარებელს შეემთხვა უბელურება. მატარებელი ლიანდაგს გადასცდა, დაზიანდა მანქანა და მის ახლო სამი ვაგონი, ერთი ბარგისა, ერთი ფოსტისა და ერთიც მესამე კლასისა. თუ ხალხი მსუბუქად დაშავდა, ამის მაღლობელი უნდა ვიცხვით მემანქანესი, რომელსაც ნელა მიჰყავდა მატარებელი და კონდუქტორი ნიუარაძესი, რომელმაც მსწრაფლ შეაჩერა ექსტრენაჰულის ტრომობით მეოთხე ვაგონიდან მატარებლის მეორე ნახევარი. მგზავრები საგარეჯოში წაიყვანეს იქიდან მოსული მატარებლით.

უბელურების მიზეზის გამოსარკვევად ასე ერთი საათის შემდეგ მოვიდა ინჟ. მამაცაშვილი, რომელმაც ეს უბელურება მაშინვე, როგორც მიღებულია, მემანქანეს დააბრალა, რაკი იქ მესხრე არ იყო. მგზავრებმა აუხსნეს, რომ მემანქანეს ძალიან ბრთილად და ნელა მიჰყავდა მატარებელი და დაზნაშავენი უნდა ექმბონ გზის გამკეთებელთა შორის, რადგან უბელურების ადგილას აღმოჩნდა დამალი წიფლის შალები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კახელები დიღის შიშით მოგზაურობენ ამ გზით, რადგან კარგად მხედვენ რამდენად მსუბუქად და ფუქსავატად არის გაკეთებული ეს გზა, მეტადრე ხალაუბანში.

ვიმეორებთ, აღსანიშნავია და დიდი მაღლობის ღირსი კონდუქტორი ნიუარაძე, რომელმაც გადაარჩინა დიდ უბელურებას ხუთი ვაგონის მგზავრი.

დამსწრე მგზავრი.

რვანი ცხოვრება

ს. მ. კახი. (საინგილო). კახის ახალგაზღობამ შარშან გადაწყვიტა ერთი ღარიბი ობოლი ინგილო ილარიონ პაპიაშვილი გაზარდოს თელავის სასულეკრო სასწავლებელში, შემდეგ, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, გააგრძელებინოს სწავლა სენინარიაში და უმაღლეს სასწავლებელში. ამ მიზნით ახალგაზღობამ შარშან ორჯერ გამართა კახში წარმოდგენა და იმდენი ფული მოაგროვა, რომ ეყო ობოლ ინგილოს ერთ წლის ხარჯად.

წელს 6 აგვისტოს იმავ მიზნით კახში გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა, ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ მზიარულად ჩაიარა. ახალგაზღობის გადაწყვეტილებას თანაუგრძობდენ სხვა და სხვა ქალაქში მყოფნი ინგილონი. მაგალითად, დახმარება აღმოუჩინეს თბილისიდან-ქ. მ. ტარტარაშვილი-10 მან., მ. გ. ჯანაშვილი-3 მან., გ. იმინაშვილი-3 მან., ზაქათალიდან ბლაღოჩინ-მღვდ. ბ. ფურცელაძემ-6 მან., ყაზანიდან რ. ხუციშვილი-5 მან., წმინდა შემოსავალი დარჩათ 123 მან. რვა მანეთისა უყიდეს ობოლ შეგირდს ტანთასემელი, 115 მან. გარდასცეს ჩვენში ყველსაგან პატივცემულ მანდილოსან ს. ს. ყულოშვილისას, რომ ყოველ თვეში მიაწოდოს ობოლს სახარჯო ფული.

თავის მრავალნი ამ. ამგველობები

კოველდე მოვლის საკუთარ და სავატო სახლ. „ლ. მაილოვის-შ30თ“, სამრეწველოებიდან ახალი ქეჩიითის ხიზილალა, მცირე მარტილიანი, შავი „მეზინი“ ხიზილალა, ავრთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარით, ფარგა და ლოქო, გვაქვს ავრთვე მიღებული ყოველგვარი კონსტრუქციები და სარდნიკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

მცირე ხანი გასულია, შიმდეგ, რაც განათლებას სთვლა მისივედ შეგობა შექა საინგილოში. ჯერ-ჯერობით ამ სხეგ ჩვენში ძალიან ცოტანი გაუბობია, ასე რომ საინგილო ამ ემამდ მოკლებულია ადგილობრივ ინტელიგენციას. დიდხანს ინგილოები თათრების გავლენის ქვეშ იყვნენ, იმათგან მიიღეს სხვა და სხვა ჩვეულება-ადათი. ინგილო თათრასავით თავის ქალს ჰყიდიდა, სასიძოს ართმევდა 200-400 მან. მაგრამ გაჭირბიანების შემდეგ, რაკა საინგილოში გაიხსნა ეკლესიები, დაარსდა სკოლა, საზოგადოებას ცოტაოდნად მაინც აეხილა თვალი, ბევრმა ზიზლით შეგედა თათრებისაგან შეთვისებულ ჩვეულებას. ესლა მომეტებული ნაწილი ინგილოებისა არამც სუ არა ჰყიდიან თავითან შვილებს, არამედ გათხოვებში მზითვებსაც კი აყოლებენ. წელს რაკა კახის ახალგაზღობა აპირობდა ობოლილარ. პაპიაშვილისათვის წარმოდგენის გამართვას, ყველა საომონგებით შეეგება იმ რწმენით და იმედით, რომ რაკ საინგილოს მეტი ეყოლება განათლებული, იმდენად უფრო მალე გამოფხიზლდება და წარმატების გზას დაადგება იგი, ჩვენი ხსნა, როგორც ყველა ერისთვის, მხოლოდ განათლებაში იხატება...

მოხუცი ინგილო ბართლომე ხუციშვილი.

დ ე ვ ე შ ე ბ ი

ათინა. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, საბერძნეთის საზღვრებზე ბულგარეთმა თავი მოუყარა 65,000 ჯარი კაცსა.

სტოკოლმი. როგორც იტყობინებიან, ბულგარეთ-ოსმალეთის შეთანხმების ხელშეკრულობაზე ხელის მოწერი შემდეგ სტამბოლში დიდ ძალი ჰური ფქვილი შეუტანიათ. ნათვის ფასმა დიდ წია 65 პროცენტით.

ბრინდიჩი. დაიღუპა ჯავშნოსანი „ბენედეტი“; გადაარჩინეს 8 ოფიცერი და 379 მეზღვაური. დღეულისა შორის არის ერთი კონტრა-ადმირალი.

პარიზი. გენერალი მარშანი მძიმედ არის დაჭრილი. მორჩენის იმედი აქვთ.

სტოკოლმი. მიუნენიდან იტყობინებიან, რომ პაპს დიდ სახელმწიფოთათვის დაუგზავნია ეპისტოლე, რომელიც სახელმწიფო წარამადგენელებს სთხოვს სულთათობისთვის 2 ნოემბერს მებრძოლ სახელმწიფოთა შერიგება მოახდინონ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშავიანი

ამიერ-კავკასიის რიჩის გმის მიმოსვლა
(დრო ჩაჩენებია თბილის. საათით)
თბილისში მოღმის.

№ 3 ბაქოდან . . . 12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათიმინიდან . . . 5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათიმინიდან . . . 9 ს. 51 წ. დღღ.
ჯულფიდან . . . 6 ს. 53 წ. დღღ.
ბორჯომიდან . . . 7 ს. 25 წ. დღღ.
„ საავარ. 10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გაღმის:
№ 3 ბათიმინიდან . . . 1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ . . . 7 ს. 3 წ. საღ.
№ 5 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათიმინიდან . . . 8 ს. 05 წ. საღ.
ჯულფისკენ . . . 10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ . . . 3 ს. 29 წ. დღ.